




V-VI კლასი

ჩემო მეგობარო, მოგესალმებით კეთილი სურვილებით და გაცნობებთ, რომ შენ წინაშეა საერთაშორისო მათემატიკური კონკურსი „კენგურუ-2016“-ის ტესტი, რომელიც 30 კითხვისგან შედგება; 1-დან 10-ის ჩათვლით კითხვები 3 ქულით ფასდება, 11-დან 20-ის ჩათვლით – 4 ქულით, 21-დან 30-ის ჩათვლით კი – 5 ქულით. გამარჯვებისათვის საჭირო ქულა არის 120! ტესტის სწორი პასუხები გამოქვეყნდება ინტერნეტში 3 მაისს, ასოციაციის ვებ-გვერდზე; კონკურსის შედეგებსაც იქვე გავცნობი ივნისის დასაწყისში, სერტიფიკატები და საჩუქრები გაიცემა 15 ივნისამდე.

მაშ, ასე: ითამაშე ყურადღებით – შენ მხოლოდ 1 საათი და 15 წუთი გაქვს!

სამაგალიტო ამოცანები


1. მოცემული საგზაო ნიშნებიდან რომელს აქვს ყველაზე მეტი სიმეტრიის ღერძი?



2. მაიკლმა პიცა დაჭრა ოთხ ტოლ ნაწილად. შემდეგ თითოეული მეოთხედი ნაწილი მან კიდევ სამ ტოლ ნაწილად დაჭრა. დავდაპირველი პიცის რა ნაწილს შეადგენს თითოეული მიღებული ნაჭერი?

A) ერთ მესამედს B) ერთ მეოთხედს C) ერთ მეშვიდეს D) ერთ მერვედს E) ერთ მეორმეტედს


3. 10სმ სიგრძის ძაფი დაკეცეს ტოლ ნაწილებად ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. შემდეგ ძაფი გაჭრეს ორ ადგილას(იხილე სურათი). რას უდრის მიღებული სამი ნაწილის სიგრძეები?



A) 2 სმ, 3 სმ, 5 სმ                      B) 2 სმ, 2 სმ, 6 სმ                      C) 1 სმ, 4 სმ, 5 სმ  
D) 1 სმ, 3 სმ, 6 სმ                      E) 3 სმ, 3 სმ, 4 სმ

4. ლიზის მაცივრის კარზე ძლიერი მაგნიტებით მიმაგრებულია ბარათები (იხილე სურათი).


მაგნიტების რა უდიდესი რაოდენობის აღება შეუძლია ლიზის ისე, რომ არც ერთი ბარათი არ ჩამოვარდეს?



A) 2                      B) 3                      C) 4                      D) 5                      E) 6


5. ქეთიმ დახატა კვადრეტი, რომლის გვერდი 10სმ-ია. შემდეგ მან შეაერთა გვერდების შუაწერტილები ისე, რომ პატარა კვადრეტი მიიღო. რას უდრის პატარა კვადრატის ფართობი?

A) 10 სმ<sup>2</sup>                      B) 20 სმ<sup>2</sup>                      C) 25 სმ<sup>2</sup>                      D) 40 სმ<sup>2</sup>                      E) 50 სმ<sup>2</sup>



6. მაგიდაზე დევს თეფშები, ჩანგლები და დანები(იხილე სურათი). ალისას დედას სურს, რომ ჩანგლები იდოს თეფშების მარცხნივ, ხოლო დანები –

მარჯვნივ. სულ მცირე რამდენჯერ უნდა შეუცვალოს ალისამ ჩანგლებსა და დანებს ადგილი, რომ ისინი დალაგებული იყოს ისე როგორც დედას მოეწონება?




A) 1                      B) 2                      C) 3                      D) 5                      E) 6

7. ასფეხას აქვს 25 წყვილი ფეხსაცმელი. მას ყოველი მისი 100 ფეხისათვის სჭირდება ერთი ფეხსაცმელი. კიდევ რამდენი ფეხსაცმლის ყიდვა დასჭირდება ასფეხას?

A) 15                      B) 20                      C) 35                      D) 50                      E) 75

8. ტომი და ჯონი აკეთებენ მართკუთხა ყუთებს, რისთვისაც იყენებენ იდენტური(ერთნაირი) კუბიკების თანაბარ რაოდენობას. ტომის ყუთი მოცემულია 1-ელ სურათზე, ხოლო ჯონის ყუთის ქვედა რიგი ნაჩვენებია მე-2 სურათზე. რამდენი რიგი იქნება ჯონის ყუთში?




- A) 2      B) 3      C) 4      D) 5      E) 6

9. სასტუმროს ფოიეში გამოკრულია ბანერი(დაფა), რომელზეც მითითებულია სასტუმროს ყველა ოთახის ნომერი. I სართული: 101-110 და 123-133, II სართული: 202-241, III სართული: 300-333. სულ რამდენი ოთახია სასტუმროში?

- A) 92      B) 93      C) 94      D) 95      E) 96


10. სურათზე ნაჩვენებ ფურცელს კეცავენ პუნქტურებით(წერტილებით) აღნიშნულ ხაზებზე და იღებენ ყუთს, რომელსაც თავსახური არა აქვს. მიღებულ ყუთს დებენ მაგიდაზე და მხარით ზემოთ. რა ასო წერია ამ ყუთის ფუძეზე?



- A) A      B) B      C) C      D) D      E) E

**ოთხშუღიანი ამოცანები**

11. სურათზე ნაჩვენებია ორი ერთნაირი კვადრეტი. პასუხებში მოცემული ფიგურებიდან რომლის მიღება არ შეიძლება ამ კვადრატების ერთმანეთზე დაწებებით?




- A)      B)      C)      D)      E)

12. მერი, ანა და ნატალი მუშაობენ საბავშვო ბაღში. ყოველ დღე, ორმაბათიდან პარასკევის ჩათვლით, სამუშაოზე მოდის ზუსტად ორი მათგანი. მერი კვირაში 3 დღეს მუშაობს, ანა კი – 4 დღეს. კვირაში რამდენ დღეს მუშაობს ნატალი?

- A) 1      B) 2      C) 3      D) 4      E) 5

13. ხუთი ციფვი A, B, C, D და E სხედან წრფის გასწვრივ(იხილე სურათი). მათ უნდა აიღონ წრფეზე ვარსკვლავით აღნიშნული თხილები. ყოველი მათგანი ერთდროულად, ერთნაირი სიჩქარით იწყებს თხილის მოპოვებას, რისთვისაც გარბის მისთვის ყველაზე ახლო მდებარე თხილისკენ. როგორც კი ციფვი აიღებს თხილს, იგი კვლავ გარბის მისთვის უფრო ახლოს მდებარე თხილისაკენ. რომელ ციფვს შეხვდება ორი თხილი?



- A) A      B) B      C) C      D) D      E) E



14. კლასში 30 მოსწავლეა. ისინი მერხებთან ორ-ორად(წყვილ-წყვილად) სხედან, თანაც ყოველი ბიჭი გოგონას გვერდით ზის; ამასთანავე, კლასის გოგონების ზუსტად ნახევარი სხედან ბიჭებთან. რამდენი ბიჭია კლასში?

- A) 25      B) 20      C) 15      D) 10      E) 5

15. რიცხვი 2581953764 დაწერილია ქაღალდის ზოლზე. კარლო ჭრის ამ ზოლს ორ ადგილას და იღებს 3 რიცხვს. შემდეგ იგი უმატებს ერთმანეთს მიღებულ 3 რიცხვს. რა უმცირესი შესაძლებელი ჯამი შეიძლება მიიღოს კარლომ?

- A) 2675      B) 2975      C) 2978      D) 4217      E) 4298

16. ბერეკა სალონში იჭრის თმას. როცა მან ჩაიხედა სარკეში, დაინახა საათის გამოსახულება, რასაც ხედავთ სურათზე. საათის რა გამოსახულებას დაინახავდა ბერეკა, 10 წუთით ადრე რომ ჩაეხედა სარკეში?



17. ბებია თავისი ოთხი კატისათვის იყიდა საკვები, რომელიც მათთვის 12 დღეს იქნებოდა საკმარისი. სახლისაკენ მიმავალ გზაზე მან ორი მაწანწალა კატა იპოვა და თავის კატებს შეუერთა. რამდენ დღეს ეყოფათ კატებს ეს საკვები, თუ ბებია ყოველდღე ყოველ კატას ერთნაირი რაოდენობის საკვებს აჭმევს?

- A) 8      B) 7      C) 6      D) 5      E) 4

18. სიტყვაში BENJAMIN ყოველი ასო შეესაბამება 1, 2, 3, 4, 5, 6 და 7 ციფრებიდან ერთ-ერთს. განსვავებულ ასოებს განსვავებული ციფრები შეესაბამება. რიცხვი BENJAMIN არის კენტი, რომელიც 3-ზე იყოფა. რა ციფრი შეესაბამება ასო N-ს?

- A) 1      B) 2      C) 3      D) 5      E) 7


19. ტიმი, ჯიმი და ტომი ტყუპები არიან(ძმები ერთ დღეს დაიბადნენ). მათი ძმა კარლო მათზე 3 წლით უმცროსია. პასუხებში მოცემული რიცხვებიდან რომელი შეიძლება იყოს ოთხივე ძმის წლოვანებათა ჯამი?

- A) 53      B) 54      C) 56      D) 59      E) 60

20.  $ABCD$  მართკუთხედის პერიმეტრი 30სმ-ის ტოლია. დანარჩენი სამი მართკუთხედის ცენტრები  $A$ ,  $B$  და  $D$  წერტილებში მდებარეობენ(იხილე სურათი). ამ სამი მართკუთხედის პერიმეტრი 20 სმ-ს უდრის. რისი ტოლია გამუქებული ხაზის სიგრძე?


- A) 50 სმ      B) 45 სმ      C) 40 სმ      D) 35 სმ

E) შეუძლებელია განსაზღვრა




**ოთხშუიანი ამოცანები**

21. ქეთი შუაზე კეცავს წრის ფორმის მქონე ქალაღს; შემდეგ იგი კიდევ ერთხელ კეცავს და უკანასკნელად კიდევ ერთხელ კეცავს(იხილე სურათი).




სურ. 1

ბოლოს, ქეთი ჭრის მიღებულ ნაკეცს პუნქტირების(წერტილების) გასწვრივ(როგორც მე-2 სურათზეა ნაჩვენები).



სურ. 2


რა ფორმა ექნება ქალაღის ამ ფურცელს, თუ მას გავლით?



22. რიჩარდი წერს ყველა რიცხვს, რომელთაც შემდეგი თვისება აქვთ: ამ რიცხვებში პირველი ციფრი არის 1, მომდევნო ციფრი მეტია წინაზე ან მისი ტოლია. ამავე დროს, ყველა ციფრის ჯამი უდრის 5-ს. რამდენი რიცხვი ჩაწერა რიჩარდმა?

- A) 4                      B) 5                      C) 6                      D) 7                      E) 8

23. მოცემული კვადრატებიდან, რომლის ზომებია (5 X 5)-ზე, უნდა გამოვჭრათ 1-ელ სურათზე ნაჩვენები ფიგურის იდენტური(ტოლი) ფიგურები. რა იქნება ასეთი ფიგურების უდიდესი რაოდენობა?




- A) 2                      B) 4                      C) 5                      D) 6                      E) 7

24. ლუიჯიმ პატარა რესტორანი გახსნა. მისმა მეგობარმა ჯაკომომ მას რამდენიმე კვადრატული ფორმის მქონე მაგიდა და სკამები აჩუქა. თუ ლუიჯი მაგიდებს ცალ-ცალკე განალაგებს და თითოეულს 4 სკამს მიუდგამს, მაშინ მას კიდევ 6 სკამი დასჭირდება, ხოლო, თუ იგი ყველა მაგიდას ორ-ორად დააწყობს და მათ 6 სკამს მიუდგამს, მაშინ 4 სკამი ზედმეტი აღმოჩნდება. რამდენი მაგიდა აჩუქა ჯაკომომ ლუიჯის?


- A) 8                      B) 10                      C) 12                      D) 14                      E) 16

25. კლარას სურს, ერთნაირი პატარა სამკუთხა ფილებისაგან შეადგინოს დიდი სამკუთხედი. ზოგიერთი მათგანი მან ისე დააწყო, როგორც ნახაზზეა ნაჩვენები(იხილე სურათი). კიდევ რამდენი ფილა დასჭირდება კლარას, რომ ეს ფიგურა შეავსოს დიდ სამკუთხედამდე?




- A) 5                      B) 9                      C) 12                      D) 15                      E) 18

26. დიდი კუბი შედგენილია 8 ერთნაირი ზომის შავი და თეთრი კუბიკებისაგან. სურათზე ვხედავთ დიდი კუბის ხუთ წახნაგს(იხილე სურათი). პასუხებში მოცემული სურათებიდან რომელზეა გამოსახული დიდი კუბის მეექვსე წახნაგი?



- A)                      B)                      C)                      D)                      E)

27. სურათზე ნაჩვენები 10 წრიდან ანამ ხუთში ჩაწერა რიცხვები. მას ისე სურს დანარჩენ წრეებში რიცხვების ჩაწერა, რომ ხუთკუთხედის ყოველი გვერდის გასწვრივ ჩაწერილი სამი რიცხვის ჯამი იყოს ტოლი. რა რიცხვი უნდა ჩაწეროს ანამ X-ით აღნიშნულ წრეში?



- A) 7                      B) 8                      C) 11                      D) 13                      E) 15

28.  $\bigcirc$ ,  $\square$  და  $\triangle$  სიმბოლოები სამ განსხვავებულ ციფრს წარმოადგენენ. თუ შევკრებთ  $\bigcirc\square\bigcirc$  სამნიშნა რიცხვის ციფრებს, მივიღებთ  $\square\triangle$  ორნიშნა რიცხვს; თუ შევკრებთ  $\square\triangle$  რიცხვის ციფრებს, მივიღებთ ერთნიშნა  $\square$  რიცხვს. რა რიცხვი არის წარმოდგენილი  $\bigcirc$  სიმბოლოთი?

- A) 4                      B) 5                      C) 6                      D) 8                      E) 9

29. პატარა კენგურუ თამაშობს თავისი კალკულატორით. იწყებს რიცხვი 12-ით. შემდეგ მიმდევრობით 60-ჯერ ამრავლებს, ან ყოფს ამ რიცხვს 2-ზე ან 3-ზე(თუ ეს შესაძლებელია). პასუხებში მოცემული შედეგებიდან რომლის მიღება არ შეუძლია კენგურუს?

- A) 12                      B) 18                      C) 36                      D) 72                      E) 108

30. ორი სამნიშნა რიცხვის ყველა 6 ციფრი განსხვავებულია. მეორე რიცხვის პირველი ციფრი ორჯერ მეტია პირველი რიცხვის ბოლო ციფრზე. რას უდრის ორი ასეთი რიცხვის უმცირესი შესაძლო ჯამი?

- A) 552                      B) 546                      C) 301                      D) 535                      E) 537